<u>ნინო ვაშაკიძე-ძიძიშვილი</u>

საქ.სსრ დამსახურებული ექიმი

ვაჟას სასთუმალთან

მოგონება

1915 წელი იყო. მძვინვარებდა პირველი იმპერიალისტური ომი. ახალგაზრდა ვიყავი, ვოლონტიორი ექიმი გამოვსულიყავი. ექიმმა გ.მუხაძემ, შემდგომში განთქმულმა პროფესორმა, რომელმაც იცოდა ჩემი მისწრაფება, წამიყვანა თავისთან წმინდა ნინოს სახელობის მე-14 ქართულ ლაზარეთში მოწყალების დად.

ამ ლაზარეთს ეჭირა მაშინდელი სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის (ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი) ზედა სართულის მარჯვენა ფრთა, შემოსასვლელი ჰქონდა უკანა მხრიდან, სადაც ახლა უნივერსიტეტის სტამბაა.

უნდა ითქვას, რომ იმხანად ლაზარეთში მოწყალების დები უსასყიდლოდ ვმუშაობდით. ხელმძღვანელობას გვიწევდა ჩვენი დიდი მსახიობის ლადო ალექსი-მესხიშვილის რძალი (ძმის ცოლი) ელენე ივანეს ასული მესხიშვილისა.

სხვა მოწყალების დებთან ერთად მე გავიარე სამედიცინო დების სამთვიანი კურსები, რომელიც წითელი ჯვრის კომიტეტმა დააარსა. რამდენიმე თვის შემდეგ უფროსი მოწყალების დის თანამდებობაზე დამნიშნეს.

ცხელი ზაფხული იდგა, ივლისის პირველი რიცხვები (ახალი სტილით). უფროსმა ექიმმა ვ.მ.მახვილაძემ გამომიძახა და დამავალა - აქვე, მე- ქუჩაზე, მძიმე ავადმყოფი პოეტი ვაჟა-ფშაველა წევს და ის უნდა გადმოვიყვანოთ ლაზარეთშიო.

ვაჟას იმ ხანებში 35 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე გადაუხ- იგი ავადმყოფი ჩამოსულიყო ფშავიდან. იუბილეს შემდეგ საქეიფოდ წაეყ- და იქ უარესად გაციებულიყო. იწვა თავისი უმცროსი ძმის სანდრო რაზიკ- შვილის ბინაზე (მელთის ქ.N 9).

ნინო ვაშაკიძე-ციციშვილი

საქ.სსრ დამსახურებული ექიმი

ვაჟას სასთუმალთან

მოგონება

... იმპერიალისტური ომი. ახალ

...იყავი. ექიმმა ტ.მუხაძემ,

...ა იყოდა ჩემი მისწრაფება,

...ს მე-14 ქართულ ლაზარეთში

...აზნაურო გიმნაზიის შენობის

...ეის მთავარი კორპუსი) ზედა

...ინდა უკანა მხრიდან, სადაც

...[illegible]

...და ჩვენი დიდი მსახიობის

...ი) ელენე ივანეს ასული მესხი-

...იარე სამედიცინო დების სამ-

...[illegible] დააარსა. რამდენიმე

...დებობაზე დამნიშნეს.

... რიცხვები (ახალი სტილით).

...ა და დამავალა - აქვე, მეორე...

...ელა წევს და ის უნდა ტარმო...

...[illegible] იუბილე [illegible]

...ილეს შემდეგ საკუთარ [illegible]

... უმცროსი ძმის საწოლი [illegible]



SOVLAB

ნინო ვაშაკიძე-ძიძიშვილი

საქ.სსრ დამსახურებული ექიმი

ვაჟას სასთუმალთან

მოგონება

1915 წელ...

...რი ომი. ანაკ...

...ძ.მუხაძემ,

...მისწრაფება,

...დაბარებში

...ის შენობის

...ნვუსი) ჩერა

...რან, სარაძ

...სახიობის

...ასური მესხი-

...რების სამ-

...რამდენიმე

...ეს.

...სტილით).

...აქვე, მე...

...დრა ჭარმო...

...კარაუხ...

...ორ წავვ...

...რო რაჭი...

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლადა;
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა...
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.
გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობისა შეშითა,
ნუ მავლევ ქვეყანაზედა
გაცივებულის ლეშითა...
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიერ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი...

ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა მანამდე პირადად არასოდეს მენახა, მისი ლექსები და პოემები კი წაკითხული მქონდა, მომწონდა და [illegible]. მგოსნის მძიმე ავადმყოფობამ გული მატკინა, მაგრამ მისი ლაზარეთში გადმოყვანა და მოვლა რომ მე დამავალეს, ეს კი მესიამოვნა, თუმცა ცოტა შევკრთი და ავღელდი კიდევაც.

ვაჟას ლაზარეთში გამოუყვეს დერეფნის ბოლოს დიდი და მზიანი პალატა, რომლის ფანჯრები აღმოსავლეთისაკენ გადიოდა. ამ პალატაში დადგეს რკინის საწოლი, გაშალეს კარგი ლოგინი და თეთრეული, ფანჯრებს ჩამოაფარეს დიდი ტილოს ფარდები. როცა ყველაფერი უკვე მზად იყო, წავიყვანე ორი სანიტარი, დავიქირავეთ ეტლი და მივედით მღვთის ქუჩაზე, სადაც იწვა ავადმყოფი ვაჟა.

ავედით მესამე სართულზე, შევედით ოთახში, მაგრამ იქ მწოლიარე ავადმყოფი არავინ ჩანდა, მხოლოდ ვაჟას ძმა სანდრო დაგვხვდა. ამ ოთახიდან ძმამ წაგვიყვანა გვერდით მეორე პატარა ოთახში, საიდანაც მძიმე კვნესა მოგვესმა. შევედით და როცა სიბნელეს თვალი შევაჩვიე, დავინახე, რომ ტახტზე ულოგინოდ, ნაბადწამოხურული იწვა გაუხდელი, წვერგაუპარსავი ვაჟკაცი, თავზე ხილაბანდით ჰქონდა გაკრული. ნაბადი გადავხადე და ვნახე, რომ ძალიან ოფლიანი იყო, თეთრეული მთლად ოფლით დასველებოდა. მაღალი სიცხე აწუხებდა, ძლიერ ქოშინებდა: ისე დასუსტებული იყო, რომ ლაპარაკის თავი არ ჰქონდა.

- ავად ხართ? - ვკითხე. გადმომხედა. თეთრ ხალათში რომ დამინახა, ალბათ არ მოეწონა, ისევ გადაბრუნდა და წაიხურა თავზე ნაბადი, თან ჩაილაპარაკა: "არ მინდა, არ წამოვალ". მე არ მოვეშვი, ვთხოვე: "წამობრძანდით, მოგივლით, მოგარჩენთ, ჩქარა კარგად გახდებით!..." აქვე მდგომი ძმაც შეეხვეწა: "ვაჟა, წადი, იქ უკეთესია, ხომ ხედავ, აქ ვერავინ გივლის!"

ვაჟა გრძნობდა, რომ არ ვშორდებოდით, ისევ გადმოგვხედა ცალი თვალით. მეორე თვალი ჩაწითლებული და ქუთუთო-ჩასწეული ჰქონდა, იმით კარგად ვერ იყურებოდა. შემომხედა და ალბათ შემატყო, ისეთი ვედრების გამომეტყველება მქონდა, რომ ერთბაშად დაგვეთანხმა: "კარგი, წამოვალ..."

არგომა, მაგრამ ვერ შესძლო. მე და მისმა ძმამ ვუშველეთ წამოდგომა. სანიტრებმა ყავარჯნები მოურბენინეს, მაგრამ არ მოინდომა. ისევ მე და სანდრომ ვუყავარჯნეთ, ვაჟამ ხელები გადაგვხია და ისე ჩავიყვანეთ ქვევით, ჩავსვით ეტლში და წავიყვანეთ ლაზარეთში. იქ ისევ ჩვენ ნელ-ნელა ავიყვანეთ მეორე სართულზე, შემდეგ კი გოგორებიანი სავარძლით მივიყვანეთ პალატაში. აქ თავისი განსაცმელი გაიხადა და ძმას გადავეცით. გამოვუცვალეთ თეთრეული, გამოვუძახეთ დალაქი, რომელმაც გაპარსა. ვაჟას გუნება გამოუკეთდა, იგრძნო, რომ მართლაც ყველა თავს დასტრიალებდა და მოვლა არ დააკლდებოდა. მადლობა გადაგვიხადა, დამშვიდდა, მაგრამ ძალზე დაღლილი იყო. ცოტა რომ დაისვენა, მთავარი ექიმი ვ.მ.მახვილაძე შემოვიდა და გასინჯა. ამავე დღეს დანიშნეს კონსილიუმი. შეიკრიბნენ ექიმები გომართელი, მუხაძე, ვირსალაძე, მიქელაძე, მახვილაძე და სხვ. გამოირკვა, რომ ვაჟას აქვს მარჯვენა გვერდის სველი პლევრიტი. სითხე, რომელიც იქნა გამოშვებული წინათ ექიმ გომართელის მიერ და ექიმ მუხაძის მიერ, ისევ სწრაფად იყრიდა თავს. ამიტომ დაადგინეს სითხე აღარ გამოეშვათ. დაუნიშნეს განსაკუთრებული მკურნალობა, მოვლა და კარგი კვება. ექიმების კონსილიუმები ხშირად იყო პოეტის სარეცელთან.

ვაჟას ავადმყოფობის ამბავი მთელ საქართველოს მოედო. სანახავად ბევრი მოდიოდა, მაგრამ არ უშვებდნენ, რომ მგოსანი არ შეწუხებულიყო. ნახვის ნებას აძლევდნენ მხოლოდ ახლო ნათესავებს, მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს. მე იმ დროს სახით ბევრს ვერ ვიცნობდი, მაგრამ, როგორც მახსოვს, რამდენჯერმე იყო იოსებ იმედაშვილი, კოტე მაყაშვილი, საბავშვო პოეტი შიო მღვიმელი, სანდრო შანშიაშვილი, რომელიც იმ დროს გაზეთ "საქართველოს" რედაქტორობდა. სისტემატურად დადიოდნენ ვაჟას ძმა სანდრო, მისი მეუღლე, მეორე ძმამ თედომ სოფლიდან თაფლიც კი ჩამოუტანა.

ერთხელ ვაჟას სურათის დასახატავად ეწვია მხატვარი ვ.სიდამონ-ერისთავი, მაგრამ მგოსანმა დიდხანს ჯდომა ვერ შესძლო. ერთხელ კიდევ იოსებ იმედაშვილის მოეყვანა ცნობილი ფოტოგრაფი ქვანია. მას თან შემოჰყვა

სამი მოწყალების და. ვაჟას ჩემთვის ადრევე ჰქონდა ნათქვამი, შენთან მინდა სურათი გადავიღოთ – მოსაგონებლადაო; ახლა კი სხვებიც რომ შემოვიდნენ, არც იმათ აწყენინა, ოღონდ მე მთხოვა, რომ მის ახლოს, სასთუმალთან დავმჯდარიყავი.

მაშინ გადაღებული სურათი დღევანდლამდე მოწიწებით მაქვს შენახული. ეს სურათი არის სოფ.ჩარგალშიც ვაჟას მუზეუმში, სადაც მე რამდენჯერმე ვიყავი და ვინახულე პოეტის მეუღლე თამარი. თამარმა, რომ გაიგო ჩემი ვინაობა, ბევრი მიალერსა და გამომკითხა ვაჟას საავადმყოფოში წოლის ამბები.

საერთოდ უნდა ვთქვა, რომ ვაჟა რატომღაც მე განსაკუთრებით შემხედვისა და მამაშვილური სითბოთი მიყურებდა. მეც ვცდილობდი ყურადღება არ მომეკლო ჩვენი დიდი მგოსნისათვის და როგორც კი დროს ვიშოვიდი, მის პალატას მივაშურებდი. სხვა მოწყალების დები უფრო ერიდებოდნენ, რადგან ქართული ყველამ კარგად არ იცოდა. საერთოდ ლაზარეთში ქართული ენა თითქმის არ ისმოდა. მე კი ვაჟას, რასაკვირველია, ქართულად ველაპარაკებოდი და ისიც ნასიამოვნები გამიბამდა საუბარს.

მოსწონდა ჩემი სახელი – ნინო. "კარგი სახელიაო". "ნინო, მომეცი ფანქარი და ქაღალდი, ლექსი მინდა დავწეროო", – მითხრა ერთხელ. დიდხანს ეჭირა ფანქარი, მაგრამ ლექსის დაწერა ვერ შესძლო. საერთოდ, ვაჟა ისე იყო დასუსტებული, რომ ფანქარს ვერ აჭერდა და ასოები მკრთალად გამოჰყავდა, ვერც კი გაარჩევდით. დიდხანს ლაპარაკიც არ შეეძლო, იწვა ხშირად ჩუმად, თვალებდახუჭული.

ერთხელ შევედი და თვალდახუჭული რომ დავინახე, ვიფიქრე სძინავს-მეთქი, და გამობრუნება დავაპირე, მაგრამ ვაჟამ თვალი გაახილა. – ხომ არაფერი არ გინდათ-მეთქი, – შევეკითხე. უარის ნიშნად თავი გააქნია: "ფიქრმა გამიტაცაო, – მითხრა, – მთელი დღე ოცნებით ჩემს სოფელში ვარ, ბალღები, სახლ-კარი მომაგონდაო, მწვანე ბალახის სუნი მომენატრაო"...

ავადმყოფობით შეწუხებული ხშირად იხსენებდა თავის "არწივს":

"არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა..."

საერთოდ, ვაჟას სიკვდილზე წუწუნი არ სჩვეოდა, მაგრამ ეს ლექსი, რომ ძალიან გულდაწყვეტით სთქვა, მე შევწუხდი და დამშვიდება დავუწყე: ჩქარა კარგად გახდებით და ისევ მიაშურებთ თქვენს მთას-მეთქი. გადმომხედა, ოდნავ გაიღიმა, მერე აიღო ჩემი ხელი და დიდხანს ეჭირა, სანამ არ ჩაეძინა. ბოლოს დროს განსაკუთრებით დასუსტდა და ხშირად იძინებდა.

მთაში გაზრდილი და მთის ჰაერს ნაჩვევი მგოსანი ვერ ეგუებოდა თბილისის სიცხეს, თან კედელში მოქცეულს გული უწუხდა. ყველას იმას შესჩიოდა, როგორმე აქედან წამიყვანეთ და ისევ ჩემი მთა მომარჩენსო! მაგრამ ექიმებს ეშინოდათ, მგზავრობას ვერ აიტანსო და არამც თუ ფშავში, აგარაკზე გამგზავნასაც ვერ ბედავდნენ, უცდიდნენ, ეგებ ცოტა მომჯობინდესო, მაგრამ პოეტის ჯანმრთელობა სულ უკან და უკან მიდიოდა.

ასე თვალსა და ხელს შუა დნებოდა და იფერფლებოდა დიდი მგოსანი. თბილისური ზაფხულის პაპანაქებაში ფშავის მთებსა და იქაურ სიგრილეს იგონებდა, მთის წყაროს წყალს ნატრობდა. ერთხელ მოუტანეს ლიტრით წყაროს წყალი, ლიტრითვე მოიყუდა, წყალი მკერდზე ეღვრებოდა, მაგრამ ეტყობა სიამოვნებდა და სვენებ-სვენებით სვამდა. [illegible]. ფოთლები და ყვავილები იყო ხოლმე პალატაში, მაგრამ სიცხიან და დასუსტებულ ავადმყოფს არავინ მისცემდა იატაკზე დაწოლის ნებას. ყოველ შემთხვევაში, მე აქ ამბავს არ შევსწრებივარ, თუმცა სიკვდილის წინა დღეებში და წუთებში მასთან ვიყავი.

ვაჟა დაახლოებით ერთი თვე და ცოტა მეტიც იწვა საავადმყოფოში. ზრუნვა, მოვლა და წამლობა, რისი საშუალებაც კი იმ დროს მედიცინას გააჩნდა, არ დაჰკლებია. მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა, არაფერმა არ უშველა.

SOVLAB

ბოლო დღეებში ვაჟა თითქმის არავის აღარ ელაპარაკებოდა, ექიმებსაც არ უპასუხებდა ხოლმე შეკითხვაზე, უკვე ისე სუსტად იყო.

27 ივლისს (ძველი სტილით) დილიდანვე ცუდად იყო, შფოთავდა, ქოშინებდა. ექიმები არ სტოვებდნენ მას, მეც თავზე ვედექი, მაგრამ შველა უკვე აღარაფერს შეეძლო. ნაშუადღევს ცოტა დამშვიდდა, იწვა ჩუმად, თვალდახუჭული, ხანდახან იკითხავდა: "რომელი საათია"!.. თითქოს ვიღაცას ან რაღაცას ელოდა... საღამოს 7 საათზე კი მგოსანმა სამუდამოდ დახუჭა თვალი და მშვიდად განუტევა მშფოთვარე სული.

მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ვაჟას სიკვდილი ყველასათვის მოულოდნელი ამბავი იყო. ყველას ეგონა, რომ მისი მაგარი აგებულება სძლევდა სენს და მგოსანი გამოკეთდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ვაჟას გარდაცვალების ამბავი მეხივით გავარდა მთელ ქართველ ხალხში, რომელსაც ჯერ აკაკის სიკვდილი ვერ მოენელებინა და საქართველოს ბულბული არ გამოეგლოვა, ახლა კი მთის არწივის ასეთი მოულოდნელი დაკარგვა კიდევ უფრო მძიმე იყო...

ვაჟა საავადმყოფოდან გადაასვენეს ქაშვეთის ეკლესიაში, სადაც გადაუხადეს პანაშვიდები და იქიდანვე წაასვენეს დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (ვაჟა შემდეგ იქნა გადასვენებული მთაწმინდის პანთეონში

მე კი სამუდამო მოგონებად დამრჩა ვაჟას სასთუმალთან გატარებული დღეები, მისი თბილი, ალერსიანი მოპყრობა და დიდსულოვანი ბუნება.

1915 წ.

ნინო ვაშაკიძე-ციციშვილისა

1961 წ.